ᲯᲝᲠᲯᲘ ᲙᲐᲠᲘᲜ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲖᲠᲘ
ᲞᲘᲠᲘᲡᲯᲕᲚᲘᲡ ᲙᲝᲜᲐ

„ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენათაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე“.

აბრაამ ლინკოლნი. 1865 წ.

№ 81 ᲜᲘᲣ ᲘᲝᲠᲙᲘ, ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ 1969 **GEORGIAN OPINION** NEW YORK, AUGUST, 1969

ᲜᲘᲣ ᲘᲝᲠᲙᲘ, ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ 1969

ასრულდა რუსეთის დიდი ხნის ნატვრა და მოსკოვში შესდგა „მსოფლიო კომუნისტური პარტიების თათბირი“. ამასთან დაკავშირებით ურიგო არ იქნება, თვალი გადავაფლოთ თვით „მსოფლიო კომუნიზმის“ არსებობის რეალობას და მის ისტორიულ დანიშნულებას.

ლენინისათვის რუსეთში კომუნიზმის გამარჯვება არ იყო, არც „მსოფლიო რევოლუცია“ და არც, მით უმეტეს, მსოფლიოში რუსეთის გაბატონება. ამტკიცებ 1919 წელს, მისი ინიციატივით დაარსდა ე. წ. მესამე ინტერნაციონალი, ანუ კომინტერნი, რომელსაც მიზნათ დაუსახა „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისათვის“ შრომა და ბრძოლა. ამავე დროს ლენინისათვის ნათელი იყო, რომ მსოფლიო რევოლუცია კიდევ არ ნიშნავდა მსოფლიოში რუსეთის გაბატონებას და საჭირო იყო ამის მოხდენილად განსაზღვრა, რათა პროლეტარულ რევოლუციას არ ემსგავსებოდა რუსული იმპერიალიზმი. ამიტომ მან წამოაყენა მსოფლიო კომუნისტების ინტერნაციონალური ბრძოლა, საიდანაც გამორიცხული იქნებოდა ცალკე ქვეყნების ეროვნული ინტერესები და ეს მებრძოლი ორგანიზაცია უნდა დამორჩილებოდა ერთ ცენტრს: მოსკოვს. როგორც ერთად-ერთ კომუნისტურ სახელმწიფოს.

ამგვარად, ლენინმა მსოფლიო კომუნისტურ ბაზარზე „დაგვგმილად“ გაიტანა რუსული ჰეგემონიის, ე. ი. რუსული იმპერიალიზმის იდეა და კომუნიზმის სახით, მას მოკავშირეები შესძინა.

სტალინმა კომინტერნის ცენტრალიზმი და „მსოფლიოში ერთად-ერთ კომუნისტურ სახელმწიფოსადმი“ მორჩილება უფრო გაამაფრა და რუსეთი ყველა ქვეყნებში არსებულ კომუნისტური პარტიების მფლობელი და მბრძანებელი შეიქმნა. საბჭოთის გარეთ არსებულ კომუნისტურ პარტიებს მოსკოვი უსაზავდა მოკმედების გეზს და ტაქტიკას.

შინა პარტიული ოპოზიციის ვანადგურებით მან სამართლიანად დაიმსახურა სისხლის მსმელი ტირანის სახელწოდება და იმდენათ დიდი საფრთხისელი გახდა, რომ თვით თავი-სუფალ ქვეყნების კომუნისტებსაც კი შიშის აჩრდილად სდევდა მისი მრისხანე სახე და მის ურჩობას ვერა ბედავდნენ. სტალინისადმი, შიში, რიდი და მორჩილება უფრო გაიზარდა ტროცკის მკვლელობის შემდეგ, რადგან ამ ფაქტიდ დარწმუნდნენ, რომ მრისხანე ულვაშასათვის სახელმწიფოებრივი საზღვარი არ არსებობს და მისგან განწირულს ყველგან მოუღებს ბოლოს.

ასეთი იყო კომინტერნის მონური ურთიერთობა რუსეთის მიმართ მეორე მსოფლიო ომამდე.

1943 წელი რუსეთისათვის ყველაზე კრიტკული იყო. სტალინმა შესანშნავად იცოდა, რომ გერმანიის წინააღმდეგ მებრძოლ „კაპიტალისტურ“ ქვეყნებს, კერძოდ კი ინგლისს, არაფრად ეპიტნავებოდა ნაცისზმის დამარცხებით კომუნიზმის გაძლიერება და ხედავდა როგორ ითრევდნენ ფეხს, როგორც სამხედრო დახმარებზე, ისე მეორე ფრონტის გახსნაში. რუსეთი კი გერმანელთა ძალით დაჩიგნებული სულსა ღაფავდა და საჭირო იყო უკანასკნელი ამოსუნთქვისათვის დაეცხრო.

რუსული ვითარების ამგვარ კრიზისში საჭირო იყო „კაპიტალისტური ყველაზენის გულის მოგება და სტალინმა კომინტერნი დაშლილად გამოაცხადა. დასავლეთისათვის ეს იყო საკენკი, რომელიც დიდ ხანს და ხარბად კენკეს. სტალინისთვის კი ყოველგვარ პრაქტიკულ მნიშვნელობას მოკლებული, ვინაიდან რუსეთსა და სხვა ქვეყნებ შორის გამარჯვებული გერმანელთა ჯარი იდგა და მის გარეშე მდებარე კომუნისტურ პარტიებს, ისევდაც პრაქტიკულ მნიშვნელობას მოკლებული ღირებულება აღარა ჰქონდათ. საჭირო იყო ჯერ რუსეთის გადარჩენა და მერე მის ჰეგემონიაზე ზრუნვა.

სტალინის ᲭᲐᲯᲔᲓ-ᲣᲪᲮᲯᲔᲛᲝᲑᲐ თვალ ახვეულმა დასავლეთმა, მეორე მსოფლიო ომიდან რუსეთი გამარჯვებული გამოიყვანა. და რუზველტის პოლიტიკური შორსმჭვრეტელობის წყალობით თავისი გავლენა; თავისი სოციალ-პოლიტიკური სტრუქტურა არა მარტო კომუნისტურ პარტიებს, არამედ მთელ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს თავს მოახვია.

1948 წელში რუსეთის მკაცრ კონტროლს, ე. ი. მონობას იუგოსლავია დაუსხლტა და ტიტომ დამოუკიდებელი კომუნისტური იუგოსლავია აღიარა. ეს იყო ტიტოს მხრივ უდიდესი გამბედობა. მოგრამ ამ დროს შეერთებულ შტატებში ტრუმანის ხანა იყო, რომელმაც ზუროგი აქცია რუზველტის პრორუსულ პოლიტიკას და რუსულ ექსპანსიას შეებრძოლა. ტრუმანის დოქტრინამ იხსნა სპარსეთი, საბერძნეთი, ნაწილობრივ ოსმალეთი და სხ. და სტალინს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ იუგოსლავიის გადაყლაპვას, იმ ეპოქაში, ვეღარ მოინელებდა. ამ ვითარებაში ის შეურიგდა თავის უბედობას: ტიტო დაუსჯელი დარჩა; იუგოსლავია დაუპყრობელი . . . ეს იყო მისი მოღვაწეობის ყველაზე დიდი მარცხი და ამ შავი ლაქით წარუდგა თავის მსწავლებელ ილიჩს.

სტალინის შემდეგ მის მემკვიდრედ აღიარებულ მალენკოვს იღლიიდან გაუძვრა ბრიყვი და ლაზღანდარა, მაგრამ შინაპარტიულ ინტრიგებში დახელოვნებული ხრუშჩოვი და საბჭოთა იმპერიაში პრიველეკიება მან დამკვიდრა. მან თოქოს უარყო სტალინის მემკვიდრეობა; ტიტოსაც შეურიგდა, „ყოველ ქვეყანაში კომუნიზმისკენ მიმავალი საკუთარი (ეროვნული) გზაც“ აღიარა, რომელსაც, დაუფიქრებლად, გალიბერალებული კომეფნიზმი უწოდეს . . . რუსული შოვინიზმისაგან კი თავი ვერ გაინთავისუფლა. ხრუშჩოვი შეეცადა რუსეთის დაკარგული ჰეგემონიის აღდგენას და მსოფლიო კომუნისტური პარტიების კელად მოსკოვზე მიდგეშას, მაგრამ დ ა გ ვ ი ა ნ ე ბ ა ულ ი აღმოჩნდა, — სა ბჭოთა მოქალაქე, იტალიელ კომუნისტების ლიდერმა, ტოლიატმა სულ პირველმა აღიმაღლა ხმა და კომუნისტურ პარტიებს შორის თანასმორობის უფლება მოითხოვა. მას ბანი მისცა ფრანგ კომუნისტების ლიდერმა — ტორეზმა. ამგვარად, თავისუფალ ქვეყნებში არსებული ორი ყველაზე მოაგალრიცხოვანი კომუნისტური პარტია თანასწორობის ნიადაგზე დადგა და რუსეთის „უფროსი ძმობა“ უარყო. მას ალბანეთი მიემატა და ამ დროს გაისმა ჩინეთის „მორიდებული“ ხმაც.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. თანასწორობის პრინციპი დიდ ხანსა ღრღნეს ცალ-ცალკე, თუ ერთად შეურიღმა კომუნისტური პარტიების წარმომადგენლებმა. რუსეთი ფრაზეოლოგიის კორიანტლში აღრჩობა წამოყენებულ პრინციპს, მაგრამ თავის ჰეგემონიაზე მაინც ხელს არ იღებდა. კრემლი ყოველგვარ საშუალებას იყენებდა ცენტრმსრბოლი წრეების და ქვეყნების დასამორჩილებლად, მაგრა ვერ იქნა და არა რუსი კომუნისტები რუსეთს ვეღარ დაუმორჩილა და მსოფლიო კომუნისტურ „ოჯახში“ ერთხელ შეპარული ბზარი დღითი-დღეობით გაიზარდა და გაღრმავდა.

იუგოსლავიის ყაიდაზე, ალბანეთმაც საკუთარი, დამოუკიდებელი გზა აირჩია„ რუსეთს თავის მიწა-წყალზე სამყარო ბაზები წაართვა და მისი მრავალრიცხოვანი სამხედრო თუ სამოქალაქო „ექსპერტები“ გარეკა. კრემლის ლიდერებმა ვერც პატარა ალბანეთის გასარეკ ᲡᲐ მოახერხეს, რადგან მს უკვე გვერდში ჰყავდა და მხარს უჭერდა აზიელი ვეშაპი.

ამ ეპოქაში ჩინეთი უკვე საჯაროდ დაუპირდაპირდა რუსეთს და ძველი თამასუქების განაღდება მოსთხოვა. მაოს აზრით, მეფის მიერ ჩადენილი მიმტაცებლობა „ძომძე“ კომუნისტურ რუსეთს უნდა გამოესწორებინა და ისტორიულად კუთვნილი ჩინეთის მიწა-წყალი „ძომძე“ ჩინელ კომუნისტებისათვის დაბრუნებინა.

აბა, რუსეთი რაღა რუსეთი იქნება თუ მან სხვისა საკუთრებაზე უარი სთქვა და მესაკუთრეს დაუბრუნა?!

პეკინ-მოსკოვის უთანხმობას ᲯᲔᲠ ხრუშჩოვმა, შემდეგ კი მის იღლიიდან გამოსხლტომილ ბრეჟნევმა, „იდეოლოგიური“ ბრძოლა უწოდეს. მაო სტალინელად გამოაცხადა და მარქს-ლენინის მოღალატედ. პირდაღებულმა დასავლეთელმა უაზრო მოაზროვნეებმაც ეს ბაჯაღლოთ მიიღეს და დღეკვანდღლამდე იმეორებენ. თუმცა ყველასათვის ნათელია, რომ რუსეთ-ჩინეთის დაპირდაპირება სუფთა ეროვნული ხასიათისაა და აქ არაფერ შუაში არც ლენინია, არც სტალინი და მით უმეტეს არც მარქსი, მაინც, როგორც კომუნისტური, სამყარო, ისე ანტიკუმუნისტური, ერიდები ამ მოვლენის ნამდვილი სახელის ხმარებას.

ამ ვითარებაში რუსეთს სხვა კომუნისტური პარტიების თანავარდნობა მაინც უნდა ჰქონდეა, რათა მისი იმპერიალიზმი რომელიმე სახით შეემოსა და საჯაროდ არ გაგოსლავეა.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲡᲝᲚᲘᲓᲐᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ

მოსკოვში მოწვეულ „მსოფლიო კომუნისტური პარტიების თათბირისაგან“ რუსეთი ბევრ რამეს მოელოდა. მთავარი ორი საკითხი იყო: 1. დაკარგული აეტორიტეტის აღდგენა წამყვანი სახელმწიფოს როლის დაბრუნება, 2. რუსეთის მორჩილებიდან განმდგარ კომუნისტური პარტიების და ქვეყნების დაგმობა.

მიუხედავათ იმისა, რომ „თათბირის“ მოსამზადებელმა კომისიამ კატეგორიულად მოითხოვა ეს საკითხები არ წამოეჭრად, ბრეჟნევ-კოსიგინი მაინც იმედოვნებდნენ, რომ თუ თათბირი შესდგებოდა, და ისიც მოსკოვში, „ექსპრონტად“ წარმოთქმული სიტყვით დელეგატებს თავის ზრახვებს თავს მოახვედნენ.

მართლაც, ივნისის 7-ს ბრეჟნევმა დაარღვია მოსამზადებელი კომისიის დადგენილება და მკაცრი სიტყვა წარმოსთქვა „სოციალიზმის მოღალატე“ მაოს და მისი ჩინეთის წინააღმდეგ. ბრეჟნევის სიტყვით, მსოფლიო კომუნიზმმა შეეძლებელია გარკვეული პოზიცია არ დიენიროს ჩინეთის კომუნისტური პარტიის 9-რე ყრილობის შემდეგ მაინც, რაც სოციალიზმის ღალატს აშკარა გამოვლინებაა„ ჩინეთის მოქმედების კონკრეტული ფაქტები ამტკიცებენ, რომ ისენი სამუდამოდ დაშორდნენ პროლეტარულ ინტერნაციონალს და ჩინურმა კომუნისტურმა პარტიამ დაკარგა მუშათა მოძრაობის შინაარსი. ეს ფაქტები გვაიძულებენ, რომ ფორმელურად თუ არა, ფაქტიურად მაინც ჩინეთი კომუნისტური მოძრაობის გარეშე დავაყენოთ“-ო. შემდეგ ბრეჟნევმა დიდ ხანს შეიჩერა თათბირის ყურადღება, თუ ჩინეთი როგორ ემზადება საომრად საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. სულ პირველად ისიც აღიარა, რომ მაოს ჩინეთი რუსეთისაგან ტერიტორიას მოითხოვს, რომელსაც ვერასოდეს ვერ მიიღებსო. ხოლო რაც შეეხება ომსო,— როგორც ყოველი თაღლითი და სახელმწიფოებრივ სიბრნე ნაკლულოვანი დიქტატორი, ბრეჟნევმაც მედიდურად განაცხადა: „საბჭოთა კავშირის ატომური და ნუკლეალური მარაგი და საბჭოთა მოქალაქის რკინის ნერვები ყოველ თავდამსხმელს მოიგერეებსო“.

დასავლეთელი მეთვალყურის ცნობით „დიდი რუსეთის“ ყალთაბანმა ლიდერმა ორსაათნახევარი ილაპარაკა; ჩინეთის ზრაჯელიც თან მიაყოლა და ებრაული იმპერიალიზმის დათრგუნვაც მოითხოვა.

ბახებულიყო. უკანასკნელი 7-8 წლის განმავრავ მთელი რუსული დიპლომატია და არა ნაკლები ატერიალური საღსარი შეეწირა, რომ როგორმე „მსოფლიო კომუნისტების თათბირი“ მოეწყო; თათბირს მაო გაეკიცხა, ის კომუნისტური იდეოლოგიის მტრად გამოეცხადებინა და მოსკოვის, როგორც „პირველი კომუნისტური სახელმწიფოს“ ჰეგემონია აღიდგინა. ბრეჟნევმა კომუნისტური ქვეყნების თვალის ასახვევად „შეზზუდული სუვერენობის“ პრინციპი წამოაყენა, რათა ერთად იბრძოლონ დასავლეთის უკე არ არსებული იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ამავე პრინციპით გაამართალა რუსეთმა ჩეხოსლოვაკიის დაყრობაც.

ხანგრძლივი შრომის და გაღებული ხარჯის შემდეგ მოხერხდა, თითქოს მსოფლიო კომუნიზმის წარმომადგენლების ერთად შეყრა და თათბირი.

მაგრამ მოსკოვის ახალმა პრინცმა — ბრეჟნევმა, მაინც მიზანს ვერ მიაღწია: მაო და ტიტო თათბირამ არ დაგმო. დაგმეს მხოლოდ იმპერიალიზმი, რაც ისევე შეეხება რუსეთს, როგორც ჩინეთს და ყოველ ქვეყანას, სადაც მისი ჩანასახი არსებობს, ან წარმოიშვება.

თათბირის საპროპაგანდოთ უწოდეს „მსოფლიო“, თუმცა მას არ დაესწრო მრავალი ევროპიელი, არა მარტო პარტიის, არამედ კომუნისტური სახელმწიფოების წარმომადგენლები„ რასაკვირველია, თათბირს არ დაესწრო კომუნისტური ჩინეთი და თათბირის პროცესში ჩინეთ-რუსეთის საზღვარზე ზარბაზნები გრიალებდნენ . . . არ დაესწრო არც ჩრდილო კორეის, არც ჩრდილო ვიეტნამის და სხ. აზიელ კომუნისტების წარმომადგენლები, რომლებმაც, ეტყობა, გეოგრაფიას მეტი მნიშვნელობა მისცეს, ვიდრე მარქს-ლენინის იდეოლოგიას.

როგორც ვხედავთ, მოსკოვის „მსოფლიო კომეფნიზმის თათბირმა“ ბრეჟნევ-კოსიგინს იმედი არ გაუმართლა და ეს მათი ზრახვები სასაფლაოდ გადაიქცა.

მიუხედავათ იმისა, რომ სხდომა დახურულ კარებში მიმდინარეობდა, ბრეჟნევი სიტყვა მეორე დღესვე დაბეჭდა „პრავდამ“ რუსებისთვის ჩვეული უხეში კომენტარიებით და მოსკოვის მორჩილებიდან განმდგარ ქვეყნების და პარტიების მკაცრი დასჯა მოითხოვა.

ამ მოვლენამ უდიდესი აღელვება გამოიწვია დამსწრე დელეგატებ შორის; ᲯᲔᲠ რუმანეთის ლიდერმა მოითხოვა კატეგორიულად რომ ამ საკითხებზე არაეთარი რეზოლუცია არ მიეღოთ. იზრაელის საკითხი კი გაერთიანებულმა ერებმა გაარჩია და მისი რეზოლუცია სავსებით დამაკმაყოფილებელიაო. ბრეჟნოვის წინააღმდეგ ილაპარაკეს; ავსტრალიის, იტალიის, ინგლისის, ᲨᲕᲘᲪᲐᲠᲘᲘᲡ, ᲑᲔᲚᲒᲘᲘᲡ და სხვა ქვეყნების დელეგატებმა, რომლებმაც თავისი გულისწყრომა არ დამალეს და ბრეჟნოვის ამ უპასუხისმგებლო გამოსვლას ჩეხოსლოვაკიის საკითხიც ზედ დაურთეს, რის გამოც ავსტრალიელი დელეგატის აზრით „ᲭᲐᲠᲗᲐᲕᲘᲡ ᲑᲚᲐᲒᲘᲡ მიერ ჩეხოსლოვაკიის დაპყრობა ყოველად გაუმართლებელი და საჭიროა ამ საკითხის ნორმალიზაცია“.

ჩვენ ამ დეტალებზე იმიტომ შევჩერდით, რომ რუსული პრესა და რუსული იმპერიალიზმის ზოგი ქართველი ლაქიაც, მოსკოვის თათბირის რუსეთის უდიდეს გამარჯვებათ გვესახავს.

მოსკოვის თათბირზე ერთსულოვნად იყო მიღებული მხოლოდ ერთად-ერთი რეზოლუცია; ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ. თუ გავითვალისწინებთ, ავსტრალიის თუ სხვა დელეგატების განცხადებებს და ჩეხოსლოვაკიის დაპყრობის გამო „მსოფლიო კომუნიზმის“ რეაქციას, ნათელი გახდება, რომ ეს თათბირის ერთსულოვანი რეზოლუციაც რუსეთისადვის მომაკვდინებელია. ყველამ ნათლად დაინახა, რომ მთელ მსოფლიოში „გარდაცვლილი“ იმპერიალიზმი მხოლოდ რუსეთში ცოცხლობს და თვით კომუნისტური სამყარო მოითხოვს მის დასაფლავებას.

თათბირის უკანასკნელი სხდომის დასასრულს დელეგატებმა „ინტერნაციონალი“ იმღერეს. თათბირის მიმდინარეობის შინაარსის მიხედვით „ინტერნაციონალის“ სახით არა რუს კომუნისტებმა სულთათანა უმღერეს რუსულ იმპერიალიზმს.

ვ. სანვულია

ᲛᲔᲠᲘ ᲕᲔᲨᲐᲪᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ქვეყნიერების არც ერთ კუთხეში არა ყოფილა იმდენი შეიარაღებული ძალა თავმოყრილი, რამდენიც დღეს ჩინეთ-რუსეთის საზღვარზეა. ჩინურ-რუსული ინფორმაციის თანახმად, რუსეთს მილიონ ნახევარი ჯარისკაცი ჰყავს ჩინეთის საზღვარზე, ჩინეთსაც, დაახლოვებით ამდენივე. თითქმის სამი მილიონი კბილებამდე შეიარაღებული ჯარისკაცი ერთი-მეორეს პირის-პირ უდგანან მეტად ძძიმე, დაძაბულ მდგომარეობაში და ყოველ წუთს არის მოსალოდნელი დაგროვილი თოფის წამლის აფეთქება.

მესამე უძლეველი ვეშაპი, ევროპა-ამერიკის კონტინენტი, ამ დაძაბულობას ზარმაცად ადევნებს თვალ-ყურს და უინტერესოდ კოთხულობს „ცნობის მოყვარე“ ეურნალისტების მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციას. ნუთუ იმიტომ, რომ მშვიდობიანობის მოყვარული კაცობრიობა სიკეთეს არც ერთი წვიფელი ვეშაპისაგან არ მოელის და ფიქრობს „წამკიდებელო წაკიდე, ორივეს თავი წასწყვეტეო„?

ჩინეთ-რუსეთის საზღვარი ყველაზე უგრძესია მთელ მსოფლიოში. მაგრამ ამაში სამი პუნქტია, სადაც ორივე მხარეს სამი მილიონი ჯარისკაცი შეჰყარა: ჩინური სინკიანგი და რუსული ყაზახისტანი, ცხადია მდინარე უსური ორივე მხარისათვის ყურადღების ცენტრია. სრსნს ორივე წითელი ვეშაპისათვის ეს ადგილები ის სტრატეგიული პუნქტებია, სადაც ფიქრობენ ცეცხლი უნდა დაინთოს და სისხლმა ნაიფვარად იდინოს.

სინკიანგის რაიონში ჩინეთს ატომური იარაღის მშენებლობა აქვს. რუსეთს ყაზახსტანში აქვს კოსმიური დანადგარები, რაც შეეხება მდინარე უსურის, საკმარისია წარმოვიდგინოთ, რომ რუსეთის უდიდესი ნავსადგური აღმოსავლეთში — ვლადივასტოკი სწორედ ამ რაიონში მდებარეობს, რათა რუსეთის ინტერესი ნათელი გახდეს.

სულ სამი თვის წინ, რუსეთს ურალის გადაღმა მხლოდ ოცი დივიზია ჰყავდა. სამი თვის განმავლობაში, კერძოდ კი მდინარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი ვეშაპის ბრძოლა

(დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე)

უსურის რაიონში რუსულ-ჩინური სანაპირო „კონფლიქტების“ შემდეგ, რუსეთმა ოცი დივიზია (მშვიდობიანობის დროს რუსული დივიზია 15.000 კაცს შეიცავს) მილიონ ნახევარ ჯარისკაცად აქცია. სპეციალისტების დაკვირვებით რუსული ჯარის უმრავლესობა ირკუსკის აღმოსავლეთით არის თავმოყრილი, მაშასადამე ჩინეთის საზღვრის აღმოსავლეთის გასწვრივ. ეს შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ „დიდ ინდუსტრიალური“ ქვეყანა რუსეთის, ამ რაიონში მოძრაობა მაინც „ამინდზეა“ დამოკიდებული და ამიტომ რუსეთის ყველაზე სუსტი ადგილია.

რუსეთს, თითქმის მეოთხედი მილიონი ჯარისკაცი მონგოლეთშიც ჰყავს. ამას თვით რუსული მხედრობა „ჩინურ ზღვაში რუსულ კუნძულს“ ეძახის. მართალია, მონგოლეთი, — საქართველოს მსგავსად — თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფოა, მაგრამ, ფაქტიურად ის რუსული ზონაა. ჩინეთის მონგოლეთში დიდი ინტერესები აქვს, ხოლო მონგოლეთის მოსახლეობას ჩინეთის დიდი სიმპატიები. მონგოლეთიდან მდინარე უსურის გასწვრივ რუსეთს 50 ათი სამხედრო ეშელონი აქვს. აქვე უნდა გავითვალისწინოთ რუსეთის ატომური იარაღის მარაგი. მართალია რუსული ინტერკონტინენტალური მისილები დასავლეთისთვის არის განზომილი და ამას ჩინეთში ვერ გამოიყენებს, მაგრამ „საშუალო“ იმ ფრონტზეც იგრაგნებ.

რუსეთის ამგვარ შეიარაღებასთან, ცხადია ჩინეთი სუსტი მოსჩანს. მართალია ჩინეთს თანაბარი ჯარისკაცი ჰყავს საზღვარზე, მაგრამ მათი შეიარაღება დიდათ ჩამორჩება რუსეთის შეიარაღებას.

მაგალითად: უსურის მიდამოებში სადაც რუსეთს 50 სამხედრო ეშელონრომი აქვს, ჩინეთს არც ერთს არა აქვს. ამ ცნობათა ვარაუდით ჩინეთმა რუსეთს ომი ვერ უნდა გაუბედოს. ის უნდა დაკმაყოფილდეს დიპლომატიურ-პოლიტიკური გართულებებით, ტერიტორიალური მოთხოვნილებით და სანაპირო ინციდენტებით.

მდგომარეობა რადიკალურად შეიცვლება, როცა ჩინეთის ნუკლეარული და ატომური იარაღის მარაგი გაიზრდება, რაც, ცხადია, რუსეთის ინტერესებში არ შედის მაოს ჩინეთის მძლე ატომურ ქვეყნად ქცევა და ყოველგვარი საშუალებით შეეცდება ხელი შეუშალოს, მაგრამ როგორ?

რა უშლის ხელს რუსეთს, რომ თავისი უპირატესობა გამოიყენოს და მომავალი საკვდრო-სასიცოცხლო მტერი თავიდან მოიშოროს? ზოგიერთი მიამტი ადამიანი, ხშირად სახელმწიფო მოღვაწეც კი, იტყვის: რუსეთს ომი არ უნდა, ის დამპყრობლობით პოლიტიკას არ აწარმოებსო.

საკვირველია, რამ მოათვინიერა რუსეთი და როდის აიღო ხელი დამპყრობლობით პოლიტიკაზე? ცხადია არასდროს! ამას „გუშინდელი“ ჩეხოსლოვაკიის დაპყრობის ფაქტიც ღაღადებს.

მდგომარეობის ანალიზი გვაჩვენებს, რომ ჩინეთის წინაშე რუსეთის მოღუნვას უფრო სერიოზული მიზეზები აქვს, ვიდრე ამას დასავლეთელი მიამტი მეთვალყურე წარმოიდგენს.

ჩინეთი ეთნიური, ეროვნული სახელმწიფოა. მაომ რეალი მილიონნი ჩინელი ერთის ზრახვით დაგეშა, მათ მოქმედებას ერთი გრძნობა წარუძძღვარა: **აზიური იმპერიალიზმი.** ჩინეთის სიმტკიცე ჯიუზბრივი ხასიათისაა და ამის გაყოლებაზე მას სუსტ ადგილს ვერ-სად უპოვით. ამას ზედ ერთეის რუსეთის მიერ მისი შემოლაღული ეროვნული თავმოყვარეობა, რომელსაც ჩინელები საუკუნეთა გასწვრივ აზიური მოთმინებით და გულჩახვეულობით ატარებდნენ და დღეს ბოღმის გადმოხთხევის შემთხვევას ეძებენ.

ეს არის ჩინეთის ძლიერება; ამაში ხედავს მაო რუსეთთან გამარჯვების შანსებს.

რუსეთი კი ეროვნული სახელმწიფო არ არის. ის იმპერიაა . . . დრო მოჭმული, გასული საუკუნის უკანასკნელი ნაშტი. რუსეთის იმპერიაში მოსახლეობის უმრავლესობა, რუსეთის მიერ დაპყრობილი, ეროვნულად შეურაკეცოფილი და დამცირებული ხალხია.

მეორე მსოფლიო ომმა ნათლად გამოამეჩოვნა, თუ რა სიძუელეილი ბუდობს ლენინის „ხალხთა (საპყრობილეში) ძმობის“ ქვეყანაში. სამხედრო ტყვეთა ბანაკებში ეფლეკორრსები არა რუს ტყვე წოთელარმიელებს დასცინიდნენ, ქვასა და გუნდს ესროდნენ, ხოლო ქართველებს, ირონიულად, „სტალინის არწივებს“ ეძახდნენ და გერმანელებთან აბეზღებდნენ. რუსული იმპერიის ეს შინაგანი ვითარება მოსკოვის დღევანდელმა ბატონებმა ჩვენზე უკეთ იცინან„ იციან რომ ატომური ყუმბარა თავისით ვერ გაფრინდება და პეკინს ვერ დაეცემა, იციან, რომ ზარბაზანი ციცნი ნებით ვერ აგორდება და პეკინს ვერ მიადგება. ისიც იციან, რომ რუსულ დიდ შეიარაღებას სახელმწიფოს ერთგული დამცველებიც სჭირდება და სახლოოოდ ცოცხალი ძალა სწყვეტავს საკითხს, რომელიც საბჭოთა კავშირში, თვით ვლიკორუსებშიც, სანთლიდ საძებნელია.

ეს არის რუსული იმპერიის უსუსტესი ადგილი, რომლის გაყოლებაზე კარგ მოპირდაპირეს ნაჯახითაც შეუძლიან მისი დამარცხება. ამიტომ არის რომ ატომური იარაღის მფლობელი რუსეთი, ჩინეთის წინაშე თრთის, კანკალებს და დაზავებას და შეთანხმებას ეევდრება. რუსული იმპერიის უსუსტესი ადგილი მოისაკ კარგათა აქვს გამიზნული და ამიტომ მას არც აშინებს და არც აფიქრებს რუსული იარაღის უპირატესობა.

როგორიც არ უნდა იყოს ჩინეთ-რუსეთის დღევანდელი დავის დასასრული, შედეგი არ შეიცვლება. ან რუსეთმა დღისეე უნდა სცადოს ჩინეთის დაბმა და იარაღის უპირატესობით მისი დაჩოქება, რაც რუსული იმპერიის შინა ვითარების წყალობით აშკარა დამარცხებაა, ან ჩინეთი მოიცდის ვიდრე თვით გახდება ატომური იარაღის მფლობელი და რუსეთს საბოლოო ანგარიშს მაშინ გაუსწორებს.

ორივე შემთხვევა კი რუსული იმპერიის დასასრული იქნება და მის ნანგრევებზე კვლავ აღმოცენდებიან ეროვნულ- დამოუკიდებელი სახელმწიფოები.

მ. სინდიკელი

ოცდაექვსი მაისის შრლვეი პალატი

რუსეთის იმპერიის ბატონობა მოტყუილებით და ძალადობით მიტაცებულ საქართველოს მიწაწყალზე 1918 წ. 26 მაისს, ნაშუადღეევის 5 საათზე და 10 წ. დაემხო და საქართველოს სახელმწიფო მკვდრეთით აღსდგა . . .

ასეთი სიხუტური არის მაშინდელ აქტში და ოქმებში შეტანილი ყამი ჩვენი დამოუკიდებლობის აღდგენისა.

თითქოს საეკუნობრივ სიბნელით მოცულ ცა უცებ გაიხსნა და ნათელი სეეტი, „სეეტი ცხოველი“ ჩამოეშვა და ქართველ ერს თავისუფლება გადმოაღავარა.

თითქოს, სადღაც შორს, დიდი იმპერიის მეკანიზმი მოიშალა, დაიმსხვრა და ჩვენ უცერად განცცალკეევებული, დამოუკიდებელი დავრჩით.

აი, ასეთმა ბედნიერმა და უეცარმა „ზეცის გახსნამ“ მთელი ხალხი ზეიმით აღავსო, სადღესასწაულო ზარების გუგუნი ძველ სიონში გაიმსა და მას ბანი მისცეს მამა დავითის ზარებმა და იქ ჩვენს ღირსეულ მამებს საფლავში ეს აღდგომა ჩასძახეს . . . სასახლის წინ ამქრებმა დროშები გამაღეს და ქართველთა დიდი ზეიმი და ლხინი დილამდე არ შეწყვეტილა, არც შენელებულა.

ასე სრანს ეგ „სურათი“ ერთის შეხედვით და მაშინდელი ოქმითაც.

მაგრამ განა ეს ასე იყო? განა 26 მაისი უეცარი, სიზმრად ნენატრი „ცის გახსნა“ იყო? განა ეს ნათელი იმ დღის 5 ს. და 10 წუთზე გადმოეშვა?

არა! იმ დაუვიწყარ დღეს მხოლოდ ჩვენი გრძელი და სახელოვანი მატიანეს ახლებური გამოვლინება მოხდა, „ქართლის ცხოვრების“ ახალი თავი, გრძელ და საკვირველ ამბავთა ახალი ფურცელი გარდაშალა . . . სხვანირად მას ხომ ის დიდი, ისტორიული შარავანდედი, ღირსება და მნიშვნელობა არ დაჰყვებოდა, ის გამამხნევებელი, უკვდავი ძალა არ მიეკემოდა„ და 26 მაისის ახალი პალატი არა მყარ საძირკველზე ნაგები დაშთებოდა.

ურყეობა და სიმტკიცე მის საძირკველს იმ დიდმა ბრძოლებმა მისცეს, რაიც იმ დღიდან გადაიშალა, როცა უძველესი, კულტურული სახელმწიფოო იეერიისა რუსეთმა განუკითხავად საკუთარ გუბერნიად გამოაცხადა, ერი გაძარწეა, მას ქართული ენა და საყდარი წარტაცა . . .

აი, რა დროიდან დაიწყო ერმა 1918 წლის 26 მაისის საძირკველის შენება, საძირკველის, რომელიც ეხლაც ურყეევად სდგას ქართველ ხალხის გულში; ეს ურყეევი პალატი ხომ მრავალთაობებს უშენებია — დაწყებული დიდი ირაკლის და გიორგი მეფის შესანიშნავ ოჯახის წევრთა და მათ მიმდეკვართა მიერ და დათავებული ჩვენის თაობით, რომელთაც ამ 26 მაისის ისტორიულ აქტს ხელი მოაწერეს. ეს პალატი, უმაღლესი და უმთავრესი, რომელშიაც 26 მაისი იშვა, ჩვენი აგებული კი არ ყოფილა, არამედ მისი „აგება“ ჯერ კიდევ სოლომონ მეფეს, ალექსანდრე, ფარნაოზს, ვახტანგს, თეიმურაზს, ლევანს და დანარჩენ ბატონიშვილებს დაუწყვიათ დარეჯან და მარიამ დედოფლებთან, მათ ერთგულებთან, წარჩინებულებთან და გლეხებთან ერთად: მისი შენება განუგრძეიათ სოლომონ დოდაშვილთან, ფილარეტფოს კიკნაძესთან, სოლომონ რაზმაძესთან, დ. ყიფიანთან და დინიტრი ბატონიშვილებთან ერთად ყველ იმათ, ვინც 1832 წლის შეთქმულება შემმზადეს . . .

ეს საძირკველი მათ ჩაუყრიათ, ვინც ბრძოლის დროშები გაშალეს და ჩვენს ბატიანეში რუსთა შემოჭრის დასაწყისიდანვე ეროვნული აჯანყებების ცეცხლი გაანაღეს: 1802 წ. 1804 წ. 1812 წ. 1819 წ. და ბოლოს 1832 წ.

ამ უკანასკნელი წლის შემდეგ კი 26 მაისისათვის ბრძოლებმა სხვა სახე მიიღეს. აჯანყეთის ყველა გზა და საზღვარია აღნიშნული“. („არგონავტიკა“ 4, 279) „ამგვარა ირკვევა“, ასკვნის კლასიკური ფილოლოგიის პროფესორი პ. ქერაძე, „რომ წარმართულ ხანის უძველეს დროიდან მოკიდებული, აეტ მეფის (მედეას მამის) კარზე ბერძენთა გმირებს მოსვლის უწინარეს, საქართველოს ჭაბნია დამწერლობა“ . . .

არც შეიძლება სხვანაირად ყოფილიყო იმ ფაქტის და მატერიალური ნაშთების მიხედვით რაც, თუნდაც, თრიალეთის ბაბილონის შედეგად ჩვენმა არქეოლოგებმა მზის სინათლეზე გამოიტანეს და რის გამო უდათან იქნა მიჩნეული, რომ დაახლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მულის და ეროვნულ ხარჯზე თვითონ ქეთილად, ფუფუნებაში იცხოვრებენ. ამის მაგალითს ყოველი ქვეყნის ისტორიაში ვიპოვით და არც საქართველო არის გამონაკლისი, თუმცა, ჩვენდა სასახელოდ, აქვე უნდა აღვნიშნოდ, რომ როგორც წარსულში, ეს თანამედროვეობაში, ქართველმა ერმა, პროცენტულად, სხვა ერებთან შედარებით, ნაკლები ქვეწარმავალი წარმოშვა.

ამ ჯიშის ქართველებისათვის „სამშობლო“ როდია საქართველო! ისინი გულისხმობენ დამპყრობელ ქვეყანას. აბა გადახედეთ ქართველ კომუნისტების „ლიდერ“ მჟავანაძეს ხუთეულებს და დააკვირდით თუ რა არის მისთვის სამშობლო? რამდენჯერ შეხვდებით „ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი“... თვით ქართველ მწერალთა კავშირის ორგანოც არ ერიდება და მის ფურცლებზე თანდათან ხშირდება „ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვის“ ხმარება. აქედან ნათელია, რომ ქვეწარმავალად დაბადებულ ქართველისათვის „სამშობლო“ რუსეთია, ხოლო მისი დედაქალაქი, არა თბილისი, არამედ მოსკოვი. მაშასადამე, „იდიდე მარად ჩემო სამშობლოვ“ რუსეთის განდიდების ღაღადისია და არა საქართველისა.

ქართულ ლიტერატურაში თანდათან იზრდება და ფესვს იდგავს „უფროსი ძმის“ რუსეთის წამყვანი და შემოქმედი როლი და ეს არა მარტო თანამედროვეობაში, არამედ შორეულ წარსულშიც გადადის. ან კი როგორ შეიძლება წარმოიდგინოს ადამიანმა, რომ რუსეთის ჩაურეკად დიდი დავით მეფე, ან დიდების შარავანდედით მოსილი თამარი ძლიერ საქართველოს ან ოჭრის ხანას შექმნიდნენ?

როდესაც კ. გამსახურდიას რომანი „დავით აღმაშენებელის“ პირველი ორი ტომი გამოქვეყნდა, მოსკოვის „ლიტერატურნაია გაზეტამ“ მკაცრად შეუტია: სად არის რუსეთი? ნუ თუ მწერალს არ შეეძლო რამე დამაჯერებელი ფაქტი შეექმნა, თითქოს ეს დიდებაც „უფროსი ძმის“ რჩევა-დარიგების შედეგიაო. ჩემგან პატივცემულმა, ჩემმა „მასწავლებელ-ყოფილმა“ დაუთმო „უფროს ძმას“ და შემდეგ ტომში განაცხადა: „არამც და არამც“ ეს არ გამომჩენია, მაგრამ შემოვნიახე უკეთესი შეთხვევისათვისო და მოჩმახა: თითქოს, დავით აღმაშენებელი ყიფჩაღეს ვერ გადმოსახლებდა, რაც საფუძველი იყო, საქართველოს ძლიერებისა, რომ კიევს ისენი არ დაემარცხებინა და სხ. ცხადია ეს მწერლის მიერ შეთხზული ფაქტია, უკეთ ვსთქვად, წიგნის გამოსაცემად ან შეიძლება მეტი მსხვერპლის გაღების თავიდან ასაცილებლად მოგონილი ფანტაზია.

კ. გამსახურდიას შემდეგ მითითება აღარავის დასჭირებია. ნათელი გახდა რუსეთის განზრახვა. „ეურსი“ მოცემული იყო და კარი-ერისტი მწერლები მას „დააცხრნენ“ და ერთიმეორეს შეეჯიბრნენ, თუ რომელი გადაასწრებდა დამპყრობელის ქებაში და რომელი უფრო ღრმად შეტანდა ქართულ ეროვნულ შემოქმედებაში რუსეთის როლს და დამსახურებას.

პოეტმა აბაშიძემაც სცადა „ისტორიული რომანის“ დაწერა და თავის „თამარ და დავითში“ სულიერად და ფსიქიურად დასნეულებული „უბედური რუსი“ გამოიყვანა უკეთილშობილეს ადამიანად და ოჭრის ხანაც მის შემოქმედებით უნარს მიაკუთვნა. თუ ამით „თამარი და დავითის“ ავტორმა ქართული შთამომავლობის წყველა-კრულვა დაიმსახურა, რას დაეძებს აბაშიძე მომავალს? მისთვის მთავარი აწმყოა... აწმყოში კი მან რუსეთს ერთგულება დაუმტკიცა და ნასუფრალაც უხვად მიიღს..

ჩვენის აზრით ანა ანტონოვსკაიამ ყველას ფანტაზიას გადააჭარბა. თავის უშნოდ გაჭიანურებულ „ეელიკი მოურავით“ მან „უღელი გადაადგო და კურდღელი დაიჭირა“.

ვის შეუძლიან უარყოს დიდი მოურავის, ე. ი. გიორგი საკაძეს გენიალური სტრატეგიული უნარი, მრავალ შემთხვევებში სამოქალაქოც? მაგრამ ამავე დროს ვის შეუძლიან უარყოს, როგორც ერთმა მწერალმა თქმენინა, რომ მას არ ეყო არც სიბრძნე და არც პატიოსნება, რომ თავისი მძლე ხმალი და მკლავი წაიმა ექნია და არა წაიმა-უკუღმა? ა. ანტონოვსკაია ამ თხზულებით ამართლებს თანამედროვე „მოურავებს“, რომ მჟავანაძეების პოზიციები ქართველ შთამომავლობას მაღალ მამულიშვილურ ნიმუშად დაუტოვოს. ან იქნება მჟავანაძეებიც იმიტომ იქცნენ მოსკოვის „თვალად“ საქართველოში, რომ ისენიც ქართველი ერის რომელიმე წრემ, ჯგუფმა, ან დასმა აიძულა რუსეთის ჯაქიები გამხდარიყვნენ. რომელ მათგანს შეუძლიან არ იამაყოს, რომ ისენიც გენიოს საკაძის გზას გაჰყვნენ!?

ა. ანტონოვსკაიას აბა როგორ გამორჩენია „უფროსი ძმების“ დამსახურება? მან თავის რომანში განსაზღვრული ადგილი მიუჩინა მათ; ადგილი საპატიო და ჩვენი შთამომავლობისათვის მადლობით მოსაგონარი. საქართველოს ყველაზე საბედისწერო მომენტში, როცა შახ-აბაზი ქართლ-კახეთის დედაბუდიანათ აშოკეულის ლამობდა, ანტონოვსკაიამ, ამ მძმე მომენტში, ორასი რუსი გადმოაპარა კავკასიის უღელტეხილის გადმოღმა, მათ გაყლატეს სპარსელების ათასეულები, ქართველებს მთიულეთისაკენ მიმავალი გზა გაუხსნეს და ისევე ჩუმად და შეუმჩნეველად, როგორც გადმოაპარნენ, ისე გადაიპარნენ და დიდ რუსეთს უკლებლივ დაუბრუნდნენ. ბარაქალა ანტონოვსკაიას ორასი რუსის მძლეობას და მათ უჩინ-მაჩინობას! ფანტაზიის ამ სიმაღლეზე ჯერ ვერცერთი ლაქი მწერალი ვერ ავიდა.

ლაობის უმაღლეს ნიმუშად კი ისევ აღქესანდრე ქუთათელის „პირის პირ“-ი უნდა ჩაითვალოს. თხზულების მიხედვით სწორედ ის ქუთათელია, რომელიც ამ ყამად სამოცდახუთმეტიან წლებში უნდა იყოს გადამდგარი და მთელი თავისი სიცოცხლე ცდილობდა გამხდარიყო მწერალი და ვერ გახდა. ჩვენი ეროვნულ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დროს სცადა გამაბატონებელ პარტიას მიკუთვნებოდა, მწერალთა კავშირშიც ჩაირიცხა, მაგრამ მწერალი მაინც ვერ გახდა და გვარდიაში მწერალი, ხოლო მწერლებში გვარდიელის სახელი დაიმსახურა. დღეკვნდელ საქართველოში, სადაც ლაქიობა უფრო ფასობს, ვიდრე სამწერლო ნიჭი, მასაც ეღირსა ორი დიდ ტანიანი რომანის გამოქვეყნება. ქუთათელმა მიზანს მიაღწია, წოვნი დასტამბა და მწერალი გახდა. ხოლო თუ ეს თხზულება ლაქიობის გარდა, უნიჭობის უაღრესი გამომზეურებაა, ამას რას დაგიდეკს ქუთათელი?

ალ. ქუთათელის, როგორც თვითონ უწოდა რომანი, „პირის პირ“-ი საქართველოს დამოუკიდებლობის ეპოქას ეხება. რომანის მთავარი გმირი, დაუსრულებელი ბაბეკი პირველი კურსის სტუდენტია. ქუთათელს ეს ხელს არ უშლის, რომ თავისი გმირი სანიმუშო გაწათლების კაცი იყოს. მას სიდარბაისლეში, შორსმჭვრეტელობაში, პოლიტიკურ მოვლენების გათვალისწინებაში ბადალი არა ჰყავს. ეს დაუსრულებელი ბიჭი ყველა საკითხში, ყველას კბილს უჭრის და თვით დამსახურებული სპეციალისტები მასთან კამათს ერიდებიან. ქუთათელის გმირი მებრძოლიც არის, ის დამოუკიდებელი საქართველოს მიერ წარმოებული ყველა ომის მონაწილეა. თუმცა დასაწყისში მან არ იცის რისთვის და რატომ იბრძვის (ესეც ქუთათელის გმირის უნიკალური განთლების შედეგია!) მაგრამ მისი შეუქცევი აღლო „სწორ გზას“ არჩევინებს და გახულიგნებულ ბოლშევიკებთან მიიყვანს. განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც ოსმალეთის ფრონტიდან გამოქცეული გახულიგნებული რუსის ჯარისაკაცები თბილისში არ შეუშვეს ქალაქის ასაოხრებლად და საქართველოს მთავრობამ განაიარაღა. აბა როგორ მოიფიქნდა რუსების ამგვარ დამცირებას ქუთათელის გმირი კორნელი? მაშინ მიხვდა, რომ დამოუკიდებელი საქართველო შორდება თავის ისტორიულ გზას; კავშირსა სწყვეტავს დიდი რუსის ხალხთან, რომელმაც ჩვენი ქვეყანა (წაშალა გეოგრაფიული რუკიდან) ქუთათელის გმრისთვის კი გადაარჩინა სამუდამო გაჭრისას და ისტორიის შარა გზაზე გამოიყვანა. აკ უგრძნეი კორნელის, რომ „მეწშვეკური მთავრობა“ (და არა დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული მთავრობა), საბოლოოდ დაშორდა რუსეთს, რუსეთის რეკოლუციას და ჯერ მონარქიული ვერმანიის, ხოლო შემდეგ კაპიტალისტური ანტანტის მონა-მორჩილი შეიქმნა. „საცოდავი“ ნოე ჟორდანიასთის არამც თუ იმყოლიელი ვნერილის ფეხის დაპაკუნება, არამედ წარბების მიმოხვრაც საკმარისი იყო, რომ თავისი გარდაწყვეტილება შეეცვალა და შიშის კანკალ-ცახცახით ყველაფერზე ხელი მოეწერა. ამის მნახველმა ქუთათელის დაუმწიფებელმა გმირმა, — კორნელიმ გადაწყვიტა საქართველო დალუპისაგან ეხსნა „მენშევიკური“ მთავრობა დაეშო და რუსეთი ბოლშევიზმის სახით საქართველოში კვლავ შემოეყვანა.

ქუთათელის გმირი მაყაშვილების ოჯახთანაც არის დაკავშირებული და ჩვენთვის წმინდანად ქცეულ ნინო მაყაშვილის შეყვარებულია.

თხზულების პირველ გვერდიდან უკანასკნელამდე, ავტორს ისე მივყვავარო, რომ მკითხველს ეჭვი არ ეპარება თითქოს საქმე გვაქვს სანიმუშო მამულიშვილის კოტე მაყაშვილის ოჯახთან და მის ქალიშვილ ნინოსთან, რომელიც კოჯორთან ბრძოლების დროს რუსებმა მოჰკლეს, მხოლოდ წიგნის დასასრულს ირკვევა, რომ ავტორს ნამდვილად არსებული ოჯახის და მათი ქალიშვილის გვარი და სახელი თავხედურად გამოუყენებია და კოჯორთან დაღუპული, ჩვენთვის სათაყვანებელ ნინოს საემიგრაციოდ გამზადებულ ქართველების რიცხვში გვაჩვენებს.

ჩვენთან ერთად ქუთათელსაც უნდა ახსოვდეს ნინო მაყაშვილის კოჯორიდან ჩამოსვლის პროცესია. ეს იყო ეროვნული გლოვის დღე. უბილწო გოგონას საფლავს მთელმა საქართველომ თავისი ცრემლი „ზედ ტბათ დაადინა“. რატომ დასჭირდა ქუთათელს 45 წლის შემდეგ ამ წმინდა საფლავის შეპოლვა?

ეს მარტო უვიცობაა, თუ უფრო მეტი სიმორალტე აქვს გამიზნული?

მაგრამ, მკითხველო მოითმინე, ქუთათელის თავხედობა ამით არა სრულდება!

დამოუკიდებლობის დროს შეიქმნა სპორტიული საზოგადოება „შევარდენი“. მისი ფუძემდებელი და მუდმივი ხელმძღვანელი იყო გიორგი ეგნატაშვილი. მის თანამდებობას ეწოდებოდა: სპორტიული საზოგადოება „შევარდენის“ კავშირთა კავშირის ვარჯიშთავი.

გიორგი ეგნატაშვილმა სპორტიულ საზოგადოებას ეროვნული სული შთაბერა; ყოველი სპორტმენის გული სამშობლოს მარადიულობის გრძნობით გაეღენთა, „როცა საქართველოს მტერი არ დაინდობს, ლამაზ სიცოცხლესთან საკვდილიც იცოდეთო“. სალამათ მისცა ღრმა პატრიოტული შინაარსის „ვუშაგრ ერს“, პასუხი იყო „შარად“. სპორტსმენებს საკუთარი ნიშანიც ჰქონდათ: შევარდენის მძლავრ კლანჭებს დატაცული სქართველოს ეროვნული ემბლემა თეთრი ბიორგი.

ამგვარ ეროვნულ-პატრიოტულ გარემოცვაში დავეკვაცებულ „შევარდნელ“ რაინდებმა 1921 წლის თებერვალში, კოჯორ-ტაბახმელის ფრონტზე რუსებს ეზეკენ, რომ „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული იდგა“. და „მათი ტყვია არცა ერთხელა რუსისა მკერდსა არ ასცდენია“. შევარდნელები ღირსეულად ატარებდნენ ქართველი სპორტსმენის რაინდულ სახელს.

შეუძლებელია ქუთათელს არ ახსოვდეს, რა ორომტრიალი დატრიალდა შევარდნელებსა და საოკუპაციო ხელისუფლების აგენტებ შორის, როდესაც 1922 წელს რუსული ხიშტიდ წამოჭუნტულმა „რეკამმა“ შევარდენს დარბაზებს ლუქი დაადო და ეროვნული ემბლემის მკერდიდან მოხსნა ბრძანა...

ამგვარი ეროვნულ-პატრიოტული სულით გაჟღენთილი საზოგადოება ქუთათელმა რუსულ-კომუნისტური პროპაგანდის ბუდეთ გამოაცხადა და მისი საუკეთესო წარმომადგენელი მატო ჩიკვაიე გახულიგნებულ რუს კომუნისტების აგენტებმა ჩარია.

აქაც ნინო მაყაშვილის ამბავი განმეორდა: როდესაც ლენინთან შეთანხმებით თურქებმა ძველი ოლთისი დაიპყრეს და ბათუმის ნავსადგურიც მიაყოლეს, ორ ცაცხლს (რუსების და თურქები) შორის მოქცეულმა ქართულმა ჯარმა ოსმალოებს ცეცხლით უპასუხა. თურმე მატო ჩიკვაიე აქ მოჰკლეს!

ბათუმის ბრძოლების შემდეგ, ამ სიტყვების ავტორს ბედნიერება ჰქონდა მ. ჩიკვაიეე ეხილა ცოცხალი და ჯანშრთელი. მაშ რატომ გააბახა ქუთათელმა სპორტის უფრო რაინდი? მართლა უვიცობასთან გვაქვს მარტო საქმე თუ უზომო ბოროტებასთან?

ჩვენი სამშობლო მრავალჯერ ყოფილა დაპყრობილი. ჩვენი ისტორია ბრძოლის, გამარჯვების, დამარცხების და საბოლოო გამარჯვების ისტორიაა. ქუთათელ-მჟავანაძეები ყველა დამპყრობელს ჰყავდა, ცხადია დღეს რუსეთსაც უნდა ჰყავდეს. როგორც აღვნიშნეთ ამ სენს ვერც ერთი დაპყრობილი ერი ვერ გადურჩება. ნათქვამია „ყველა ბუზი ბზეს, ფუტკართან კი ყველა ტყუისო“. ქუთათელების (ბუზების) გასწერივ ფუტკრებიც მოსჩანან და უფრო მრავლად, ვიდრე ბუზები. ფუტკრები, რომლებიც დაკქათქათებენ საქართველოს წარსულს, მის აწმყოს და მომავალს საიმედო საყრდენს უმზადებენ. ეს არის ქართული ჯიშის უკადავების საწინდარი.

დ. ვარდიაშვილი

„უბრუნდებით სტალინს“

აგვისტოს 22-ს.

„პეტიციის 55 ხელისმოწერლებ შორის გამოჩენილი ლიტერატორები და მეცნიერები არიან, ისენი ნოხოვენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ქვეყნიერების ამ კუთხეშიც (ნაგულისმევია საბჭოთა კავშირი) შეიხედონ და დაიცვან საბჭოთა მოქალაქის ადამიანური უფლებები, რომელსაც არსებული რეჟიმი აბუჩად იდგებს. ხელის მომწერლებს მოჰკავთ მრავალი მაგალითი დატუსაღების და დასჯის შემთხვევების.

სპაკიალური მოწოდება, რომელიც მოსკოვში კერძო გზებით გავრცელდა, პროტესტს აცხადებს გაბაილ და ვან. პატრე გრიგორიენკოს დატუსაღების გამო.

პეტიციაში აღნუსხულია მწერლების და მეცნიერერულ მუშაკთა წინაღმდეგ რეპრესიები, და მათი მომხრეების ვგარები, რომლებიც მოითხოვდნენ და მოითხოვენ: სიტყვის, პრესის და შეკრების თავისუფლებას, მორწმუნეთათვის რელიგიურ თავისუფლებას, ეროვნულ თანასწორობას, და ეროვნული კულტურის თავისუფალ განვითარებას, ებრაელებისათვის იზრაელში თავისუფალ ემიგრაციას და სხ.

პეტიციაზე ხელის მომწერთა შორის ისეთი ცნობილი პირებია, როგორც ისტორიკოსი პეტრე იაკორი, რომელმაც 14 წელიწადი გატარა იძულებითი შრომის ბანაკში და რომელიც შეილია წოთელი არშიის გამოჩენილი გენერლისა. ეს უკანასკნელი სტალინის წმენდების მსხვერპლი იყო, შემდეგ კი გააცოცხლეს და „უფლებებში“ აღადგინეს. პოეტი და მათემატიკოსი ალექსანდრე ესენინი, ცნობილ პოეტ სარგეი ესენინის შვილი. პოეტი ნატალია გორშნეველკაია, რომელიც გასულ აგვისტოში ატეიური მონაწილე იყო მოსკოვში გამართულ სპარტაესტტო დემონსტრაციის ჩეხოსლოვაკიის დაპყრობის გამო რომ გაიმართა „წითელ მოედანზე“. ცოლი და შვილი გენ. გრიგორენკოსი, რომელიც გასული მაისის 7-ს დაატუსაღეს ტაშკენდში და სხ.

(გაერთიანებული პრესის ბიურო)

***

როგორცა ვხედავთ, თუ ერთის მხრივ ძლიერდება ხელისუფლების მოისხანება, მეორეს მხრივ მტკიცდება პროტესტანტების შეუპოვრობა. ისენი არც გვარსა მალავენ, არც სახელს, არც მისამრთას. საბჭოთა საიდუმლო პოლიციას შეუძლია ათი, ათასი და მეტი პროტესტანტი დაიჭიროს, ციხეში ჩაამწყვდიოს, მაგრამ რას უზავს იდეას? ერთი დატუსაღებულის ადგილს ათი ახალი იჭერს. ველიკოროუსი მოქალაქეობრივ უფლებას მოითხოვს, არა რუსი ერები მას ეროვნულსაც უმატებენ. ამ დაპირდაპირებაში, ცხადია გამარჯვება ხალხის მხარეზეა. კრემლის ზღუდე უკვე ჩამორღვეულია და ის თავის ლოღიკურ დასასრულამდე უნდა მივიდეს.

ვისურვებთ ქართველი ერის მოთმინება დადასწყდეს იმ დროს, როცა ველიკოროუსიის მიერ წარმოშობილ რეჟიმს, თვით ველიკოროსი დაასამრეს.

„ქ. ა.“ რედაქცია

საქართველოს ალკა ცეკას მესამე პლენუმი

რ. მეტრეველის სიტყვა

(გადაეცა რადიო თავისუფლების მიერ)

(იბეჭდება მცირედი შემოკლებით)

რ. მეტრეველი, შეეხო რა ჩვენი ახალგაზრდობის ე. წ. „იდეოლოგიური აღზრდის“ საკითხს, დაასკურათა, თუ რა მდგომარეობაშია ახალგაზრდობაში პროპაგანდის წარმოება. „დღეს, კომკავშირის პოლიტგანათლების სისტემაშია — თქვა მან — მუშაობს 3. 820 კომპარტიის წევრი და კანდიდატ“ და დიდ ნაკლად სთვლის, რომ „ყაზბეგის რაიონში კომკავშირის პოლიტგანყოფილების ქსელში 42 პროპაგანდისტია, რომელთაგან მხოლოდ შვიდიაო პარტიის წევრი“. მისი აზრით, უფრო უარესი მდგომარეობა ყოფილა დმანისის რაიონში, სადაც 81 პროპაგანდისტიდან მხოლოდ 20 ყოფილა პარტიის წევრი; ჯავის რაიონში კი 24 პროპაგანდისტიდან ექვსად ერთი ყოფილა პარტიის წევრი. რ. მეტრეველი ამ ფაქტს იმ მდგომარეობითა ხსნის, რომ „ბანკიერად“ სწარმოებს პოლიტგანათლებით მუშაობა კომკავშირში და „ეშვიათი არ არის შემთხვევა, როცა სემინარებსა და წრეებს ხელმძღვანელობენ შემთხვევითი პირები, რომელთაც არ გააჩნიათ ამ საქმის არც ცოდნა და არც აქვთ ამ საქმისადმი სიყვარული“. (ალბად მეტრეველებს ეპატიჟებათ ქართული სიყმეის ამგვარი წყობა! — რედ.). ამას ისიც ემატებაო, განაგრძობს მეტრეველი, რომ „საქართველოს ზოგიერთ დაბებში და სოფლებში დღემდე არ არსებობს კლუბები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტრეველის სიტყვა

(დასაწყისი იხ. მესამე გვერდზე)

ბიბლიოთეკები, სპორტის მოედნები. 1969 წლის იანვრისათვის 1.200 დასახლებულ პუნქტში არ იყო კულტურულ-განათლების უწყებები?— და რ. მეტრეველი კომკავშირის ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს ამ ნაკლოვანების გამოსწორებას.

რა თქმა უნდა, ჩვენც ვეთანხმებით რ. მეტრეველს, რომ საჭიროა ყოველ სოფელში, ყოველ დაბაში არსებობდეს კლუბები, ბიბლიოტეკები და სპორტის მოედნები. ასეთი უწყება-ნაგებობანი, აუცილებელია ჩვენი ახალგაზრდობისათვის. მაგრამ, „იდეოლოგიური“ და ე. წ. „პროპაგანდის“ საკითხი ჩვენ სხვაზეა დაგეცმა.

უნდა ვაღიაროდ, რომ ხალხში და კერძოდ ახალგაზრდობაში პოლიტიკური განათლების შეტანა მისასალმებელია. ჩვენ ვფიქრობთ, ყოველი ადამიანი, და ცხადია ყოველი ახალგაზრდაც უნდა ეოცვეოდეს ჩვენი ერისა თუ საერთაშორისო პოლიტიკურ მოვლენებში, მან უნდა იცოდეს რა ხდება ჩვენ ქვეყანაში, ან მის გარეთ და ფაქტების ნამდვილ და უტყუარი ცოდნით გაარკვიოს, დაეზუსტოს თავისი მოქმედება, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო მასშტაბით. პოლიტგანათლებისადმი ამგვარი მიდგომა კარგია, სასარგებლოა ეროვნულად და ინტერეროვნულადაც. მაგრამ ეკ იმადება კითხვა: რას გულისხმობს რ. მეტრეველი, როცა ის ლაპარაკობს ჩვენი ახალგაზრდობის პოლიტგანათლების პრობლემაზე? გულისხმობს ის ჩვენი ახალგაზრდობის პოლიტგანათლებაში ისეთი ფართო, ობიექტური ინფორმაციის მიწოდებას, რომლის საფუძველზე მათ შეეძლებათ თავისი დამოუკიდებელი აზრი გამოთქვან, ამა თუ იმ ეროვნულ თუ ინტერეროვნულ საკითხზე; გულისხმობს რ. მეტრეველი ჩვენი ახალგაზრდობის ყოველმხრივ განათლებას?

ამ საკითხის პასუხად, მაგალითად, შეიძლება, რ. მეტრეველის სიტყვის ის ადგილი გამოგვადგეს, სადაც ის უკმაყოფილებას გამოსთქვავს, რომ დმანისის რაიონში 81 პროპაგანდისტიდან მხოლოდ ოცი ყოფილა კომპარტიის წევრი, ჯავის 24 პროპაგანდისტიდან კი მხოლოდ ერთად-ერთი. ეს კი — რ. მეტრეველის აზრით — დიდი ნაკლია;დიდი ნაკლია იმიტომ, რომ რ. მეტრეველი, ისე, როგორც საქართველოს კომპარტიის და კომკავშირის სხვა ხელმძღვანელები, არ არიან დარწმუნებული, რომ უპარტიო ადამიანი ამა თუ იმ საკითხს, რომელიც უნდა იქმნეს განხილული პოლიტგანათლების სემინარებში, თუ წრეებში, — ილაპარაკებენ ისე, როგორც „ცენტრიდან აქვთ ნაბრძანები“. აქ კი ჩვენ მივედით ე. წ. პოლიტგანათლების მთელი სისტემის მ ა ნ კ ი ე რ ე ბ ა ს თ ა ნ: საბჭოთა ხელმძღვანელობისათვის პოლიტგანათლება მხოლოდ ის არის, რასაც „ცენტრი“ ბრძანებს და ჩვენი ახალგაზრდობა შეასრულებს, ცხოვრების ყოველ სფეროში. ე. ი., პოლიტგანათლება არარაობამდეა დაყვანილი, ვინაიდან „ცენტრს“ მართლაც ჩვენი ახალგაზრდობის ყოველმხრივი და ობიექტური განათლება კი არ აინტერესებს, არამედ ის დაინტერესებულია, რომ მათ სიტყვა-სიტყვით გაიმეორონ, რ ა ს ა ც „ცენტრი“ ბ რ ძ ა ნ ებ ს და რაც მთავარია, „ცენტრის“ ყოველი ბრძანება სწორად და „გენიალურად“ აღიარონ. ამას ეწოდება საერთოდ პოლიტგანარეკლა? თუ ეს მხოლოდ ცდა არის, რომ ჩვენ ახალგაზრდობას ხელი შეუშალონ გაერკვნენ ჩვენი ერისა და საერთოდ პოლიტიკურ საკითხებში? რათა მათ არ ექნეს შესაძლებლობა საკუთარი აზრი იქონიონ და ის კიდეც გამოთქვან?

როცა რ. მეტრეველი პოლიტიკურ „მანკიერებაზე“ ლაპარაკობს, ნუ თუ არ უნდა ჩაუფიქრდეთ, რომ ამ მანკიერების ძირითადი მიზანი სწორედ ის არის, რომ ახალთაობას არ ეძლევა მოვლენების სწორი და ნამდვილი გაშუქება, მათ არა აქვთ ობიექტური ინფორმაცია თუ რა ხდება მათ ირგვლივ და ამიტომ არც შეუძლიათ, „ცენტრის“ ზეგავლენის გარეშე იქონინონ და გამოთქვან. წამოჭრილი საკითხებზე დამოუკიდებელი აზრი. რატომ არ უნდა ჰქონდეს უფლება ჩვენს ახალგაზრდობას, მაგ., თავისუფლად მიიღოს ყოველი მმართველების გაზეთი, ჟურნალი თუ წიგნი უცხოეთიდან, თუ კი მას ამის წაკითხვის სურვილი აქვს? რატომ არ უნდა ჰქონდეს ჩვენს ახალგაზრდობას საშუალება, რომ თავისუფლად წავიდეს უცხოეთში, გაეცნოს უცხოეთს და კერძოდ უცხოელ ახალგაზრდობის ყოფაცხოვრებას და ასევე თავისუფლად დაუბრუნდეს სამშობლოს, რათა უცხოეთში მიღებული შთაბეჭდილება თანამემამულეებს გააცნოს და უფრო მეტი სულიერ-ფსიქოლოგიური კავშირი იქონიოს მათთან? რატომ უნდა დაიჯერონ ახალგაზრდებმა, ვთქვად, ე. წ. კაპიტალისტურ ქვეყნებზე ის სტანდარტული აზრი, რომელსაც მათ პარტიული ხელმძღვანელობა აწვდის და არ მიეცეს შესაძლებლობა საკუთარი თვალით ნახონ და ნახულით და განცდილით მიხედვით შეაფასონ. მაგრამ უბედურება იმაშია, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობა შეგნებულად არ უშვებს ჩვენს ახალგაზრდობას უცხოეთში, შეგნებულად არ აწვდის მას უცხოთის ჟურნალ-გაზეთებს, კინოფილმებს და სხვა მასალებს, ვინაიდან კაპიტალისტური ქვეყნების ნამდვილი სურათი სრულიად ეწინააღმდეგება საბჭოთა პროპაგანდისტების კომენტარიებს, რომელსაც თავზე ახვევენ ჩვენს ახალგაზრდებს. სხვანაირად ხომ შეუძლებელი იქნება ხალხი დაარწმუნონ, რომ საბჭოთა კავშირში ბედნიერება სუფევს, ხოლო „დაწყევლილ“ დასავლეთში კი შიმშილი, უმუშევრობა, სიღატაკე და უსამართლობა მძინვარებს.

აი რატომა ღელავს მეტრეველი და რატომ ლაპარაკობს პოლიტგანათლების მანკიერებაზე. რ. მეტრეველი აღელვებულია, რომ პარტიული პროპაგანდისებიც კი ვერ ახერხებენ დაარწმუნონ ახალგაზრდობა, რომ მოსკოვის პარტიული ხელმძღვანელობის ყოველი აზრი და სიტყვა, ყოველი მათი მოქმედება სწორი და სამართლიანია, ხოლო ვინც მათი წინააღმდეგია, ის მცდარია; „ბურჟუაზიული“, „ფაშისტური“ და სხ.

ნუ თუ არ დადგა დრო ამგვარ ყალმ პოლიტიკურ განათლებას ბოლო მოეღოს და გზა გაეხსნას ნამდვილ პოლიტიკურ განათლებას, რომელიც ჩვენ ახალგაზრდობას შესაძლებლობას მისცემს ყოველი სახის იფორმაცია მიიღოს ამა თუ იმ საკითხზე და თავისი აზრი თავისუფლად გამოთქვას, როგორც ჩვენ ეროვნულ, ისე საერთაშორისო საკითხებზე?

ეს არის პრობლემა, რომელსაც უნდა ჩაუფიქრდეს, არა მარტო რ. მეტრეველი, არამედ ჩვენი ახალგაზრდობაც.

აბრამ ლინკოლნი

(გაგრძელება. იხ. „ქ. აზრი“ № 80)

მდგომარეობა გაართულა სამაჯოს საკითხმაც. ბრიტანეთის რკინის მწარმოებლების აქ შემოტანილი საქონელი ბეგრათ დაბალი იყო, ვიდრე ადგილობრივი ნაწარმოები. ამის გამო ადგილობრივი ბაზარი დაეცა და გაიზადრა უმუშაობა. სამხრეთს გარეთან შემოჭქონდა, დაბალ ფასებში, საქონელი რადგან თავის თამბაქოს საერთაშორისო ბაზრის ფასებში ჰყიდდა.

სამაჯოს საკითხი უმძიმესი პრობლემაა სოზგადოთ, მაგრამ ის უფრო რთულდება, როდესაც დიდი ქვეყანა გეოგრაფიულად იფარგლება და თვით ქვეყანაში წარმოიშობა შინა ინტერესების სხვადასხვაობა. მით უმეტეს, როდესაც მთელი წარმოება ერთ კუთხეშია თავმოყრილი, ხოლო პლანტაციები მეორეში, როგორც იმ დროს ეს შეერთებულ შტატებში იყო.

1859 წლის თებერვალში სენატმა უარყო სამაჯო გადასახადის გადიდება. პენსილვანიის მწარმოებლებმა დაუყონებლივ განაცხადეს, რომ ისენი ახალ არჩევნებში მხარს დაუჭერენ რესპუბლიკანელებს, თუ ეს პარტია აღთქმას მისცემს, რომ დ ა ი ც ა ვ ე ნ ბ ადგილობრივი წარმოების ინტერესებს. ე. ი. შემატანილ საქონელზე გადასახადს გაზრდიან. ეს კი ნიშნავდა, რომ ლინკოლნის დასავლეთელ მეგობრებს უყოყმანნდ უნდა მიეღოთ მოთხოვნილება, თუ მათ სურდათ არჩევნებში ჩრდილოეთის ხმების მიღება. ცხადია, მხოლოდ ამ პირობებში შეიძლებოდა რესპუბლიკანური პრეზიდენტის არჩევა, მაგრამ ამავე დროს ნიშნავდა, რომ მთავარ საკითხებში ისევდაც ეპარხპარეზული შტატების უთანხმოება უფრო გაიზრდებოდა.

1860 წელში რესპუბლიკანელების ახალგაზრდობის კავშირმა ლინკოლნს ნიუ იორკში მოუწყო საჯაროო გამოსვლა. ეს იყო ლინკოლნის პირველი საარჩევნო გამოსვლა. მან ამ ყველაფერი თქვა, რაც სახელმწიფოებრივი მოსაზრებით დასაშვები იყო და სამხრეთს მოუწოდა კავშირი არ დაერღვიაო. ეს ითვლება ლინკოლნის ყველაზე ფრთხილ და დამამშვიდებელ გამოსვლად. ამან ყველაზე მეტად შეეშალა ხელი მის საარჩევნოდ კანდიდატურის გამარჯვებას.

ლინკოლნის ნიუ იორკში გამოსვლას ესწრებოდნენ ამერიკის ყველა გავლენიანი გაზეთების წარმომადგენლები და ლინკოლნმა იცოდა, რომ აქ წარმოთქმული სიტყვა და შთაბეჭდილება სწყვეტდა მისი კანდიდატურის ბედს. ისიც იცოდა, რომ რესპუბლიკანურ პარტიას ბრალდებოდა ჯონ ბროუნის საქციელი, რომელიც ცდილობდა ვირჯინიაში მოეწყო მონების აჯანყება და ამის გამო მოსალოდნელი იყო არჩევნების წაგება.

სამხრეთელები დაბეჯითებით აცხადებდნენ, რომ მონობის უარმყოფელები ამზადებდნენ აჯანყებას და ამტკიცებდნენ, რომ ყოველი რესპუბლიკანელი მონობის უარმყოფელია. ეს სავსებით მართალი არ იყო. თუმცა სიმართლესაც შეიცავდა, რადგან ჯონ ბროუნს ფულითა და რჩევა-დარიგებით ხელს უწყობდნენ ისეთი გამოჩენილი რესპუბლიკანელები, როგორიც იყენენ ჰერიტ სმიტი, ტომას

ლინკოლნი ბოლოს ეუბნებოდა ბოლო ოლიანი და ბოლოს ეუბნებოდა ბოლო ოლიანი

ლიტერატურული კლუბი მიუნხენში

(კორესპონდენცია მიუნხენიდან)

ქ. მიუნხენში დაარსდა საბჭოთა კავშირიდან თავდაღწეულ მწერალ და პოეტ ემიგრანტების ლიტერატურული კლუბი, რომლის მიზანიც იქნება, როგორც საკუთარი ნაწარმოებების კითხვა, ისე მშობლიური ხალხის ლიტერატურის გამომზეურება.

პირველ „სადებიუტო“ საღამოზე“, თუ შეიძლება ასე თქვეს, საკუთარი ნაწარმოებები წაიკითხეს: კანჯალ ალტიმ (ტაჯიკელი), ნ. გორჩაკოვმა (რუსი), მინდია ლაშაურმა (ქართველი), ლეონიდ ფილიპეკმ (რუსი), მ. სენდეევმა (ბელორუსი) და ვანიკ შაუნმა (სომეხი).

1969 წლის აპრილის 29-ს, მიუნხენის ლიტერატურული კლუბმა მოაწყო ლიტერატურული საღამო; ქართველი სახალხო პოეტის — იოსებ გრიშაშვილის დაბადების 80 წლის თავთან დაკავშირებით.

პროგრამა შეიცავდა:

1. „იოსებ გრიშაშვილის შემოქმედება“ — მინდია ლაშაური.
2. „გრიშაშვილთან შეხვედრა თბილისში“ — ნიკოლოგ ბორჩაკოვი.
3. წაიკითხეს გრიშაშვილის რჩეული ლექსები: „გამთაბოვება ძველ თბილისთან“, — რეზო წოვნაძე, ხოლო რუსულად ნ. გორჩაკოვმა. „სიზმრად ენახე საქართველო“, ქართულ და რუსულ ენაზე თავის მოხსენებაში წაიკითხა მინდია ლაშაურმა. „გვენოსების ბედი თბილისის ბაზარზე“ — შ. კალანდაძემ, ხოლო რუსულად ნ. გორჩასოვმა. „მარიჯანს“ სომხურად წაიკითხა ალის მარუხინამ, ხოლო რუსულად საკუთარი მოხდენილი თარგმანი. ანჯელა მესაიანმა.

ჰიგინსონი და თეოდორ პარკერი.

ჯონ ბროუნის მოქმედებამ კეთილად განწყობილ ჩრდილოელებს წინაშეც დააყენა საკითხი: იქნება რესპუბლიკანური პარტია მართლა საფათერაკოა ამერიკისათვის და ის საიდუმლო კავშირშია „ფანატიკოსებთანთან“. ამ აზრს ის ფაქტიც აძლიერებდა, რომ ბრაუნი უახლოესი თანამშრომელი იყო ლინკოლნის. რაღაც ემეტსონს შეეძლო ეწერა „ბრაუნი ახალი წმინდანია დიდი საქმისათვის წამებულია“ და სხ., ის არ იყო პრაქტიკული პოლიტიკის კაცი, მაგრამ პოლიტიკური მოღვაწეებისათვის ნათელი იყო, რომ მონობის გაუქმების მცირეოდენი ეჭვიც კი საკმარისი იყო, რათა რესპუბლიკანელებს საყოველთაო არჩევნები წაეგოთ.

ამიტომ ლინკოლნის წინაშე ორი მეტად რთული ამოცანა იყო გადასაწყვეტი: აღმოსავლეთში ამომრჩევლების გული მოეგო და „ფანატიკოსების“ გავლენისაგან პარტია გადარჩინა. ამიტომ ნიუ იორკის მიტინგზე მისი ტონი იმდენად კონსერვატიული იყო, რომ ლინკოლნის დასავლეთელი მეგობრები უკმაყოფილნი დარჩნენ. სამაგიეროთ რესპუბლიკაეური კავშირის ერთმა ახალგაზრდამ მისწერა: „ვფიქრობ, რომ თქვენ და თქვენი დასავლეთელი მეგობრები სათანადოთ ვერ აფასებთ თქვენს მიერ წარმოთქმულ სიტყვას. ამან აქ (მხედველობაშია აღმოსავლეთის შტატები) დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ის შეიცავს ყველა აღმოსავლეთის შტატების პროგრამას და ეს შემოიკრეფს ნიუ იორკის, ნიუ ჯერსის და პენსილვანიის ყველა კონსერვატორსო“.

ლინკოლნი მაინც ერიდებოდა რესპუბლიკანული პარტიის პროგრამაულ საკითხებზე ლაპარაკს. ის მხოლოდ ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ დაუშვებელია მონობის ახალ ტერიტორიებზე გავრცელება. მისი აზრით პენსილვანიის ხმების მოგება სამაჯოს საკითხით შეიძლებოდა, მინესოტა სახელმწიფო მიწებზე თავისუფალი ჩასახლებით, ამას შეპირდებოდა საარჩევნო კამპანიის დროს. იქამდე კი საჭირო იყო პარტიის მთლიანობის შენარხვა, ურომლისოდაც საყოველთაო არჩევნების მოგება არ შეიძლებოდა. ამისათვის კი საჭირო იყო მონობის საკითხის მოცილა.

ლინკოლნი მონობის საკითხს ისტორიულად მიუდგა: ისე უბრალოდ. ისე სადათ, რომელიც მხოლოდ ლინკოლნის ნიჭსა და უნარს შეეძლო. მისი აზრით ამერიკული კონსტიტუციის „მამებს“ წარმოდგენილი ჰქონდათ. რომ კონგრეს შეეძლო სახელმწიფო მიწებზე მონობის აკრძალვა. ამ თვალსაზრისით გააშუქა მან დრედ სკოტის საკითხეკ.

„იმისდა მიხედვით, — აცხადებდა ლინკოლნი, — თუ როგორ გაითვალისწინეს მონობა კონსტიტუციის მამებმა, ჩვენც ისე მიეღოთ . . . მივიღოთ. როგორც ბოროტება, რომლის გავრცელება არ უნდა დაუშვათ. მაგრამ რომლის არსებობაც იძულებული ვართ ავიტანოთ და მივიღოთ იქ. სადაც არსებობს, რამდენათაც ამას გვავალდებულებს შექმნილი მდგომარეობა. სახელმწიფოს ფუძემდებლების ყოველი გარანტია ამ ინსტიტუციისათვის მთლიანად უნდა მივიღოთ და შემოვინახოთ. რესპუბლიკანელები ამისათვის იბრძოლებენო“.

არ. დონაური

ლიტერატურული კლუბის გამგეობას განზრახული აქვს ახლო მომავალში მოაწყოს ცნობილი სომეხი პოეტის და მწერლის ოვანეს თუმანიანის საღამო, მისი დაბადების წლის თავთან დაკავშირებით და მინდია ლაშაურის მოხსენება „ქართველი შემოქმედებითი ახალგაზრდობა“.

დარწმუნებული ვართ როგორც ქართული, ისე მეზობელი ქვეყნების საზოგადოებები ამ სასურველ თაოსნობას მხარს დაუჭერენ და განმტკიცებენ.

მეთვალყურე

„ქართული აზრის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ ა. წ. აპრილის 3-ს, პარიზში გარდაიცვალა ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე

ექ. კობა ხოჰოლავა

ღრმა თანაგრძნობას და სამძიმარს უცხადებთ მის ოჯახს და მეგობრებს.

„ქართული აზრის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ ა. წ. მაისის 5-ს, ლონდონში გარდაიცვალა

მაიორი ბიძინა ჟუთათელაძე

ღრმა თანაგრძნობას და სამძიმარს უცხადებთ მის ოჯახს და მეგობრებს.

„ქართული აზრის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით ვაუწყებს საზოგადოებას, რომ ა. წ. არაპილის რვას, „ამონდაწში“ (საფრანგეთი), გარდაიცვალა ქართული სოც. დემ. პარტიის გამოჩენილი წევრი

ლეონტი (ვიქტორ) ჟღენტი

ღრმა თანაგრძნობას და სამძიმარს უცხადებთ მის მეგობრებს.

მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ გასული მაისის 13-ს, პარიზში (საფრანგეთი), გარდაიცვალა ქართული სოც.-დემოკრატიული პარტიის დამსახურებული მოღვაწე

ვასო წულაძე

„ქართული აზრის“ რედაქცია ღრმა თანაგრძნობას და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს და მეგობრებს.

ღრმა მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ გასული მაისის 16- ი(ტიკეჭოში, (დას. გერმანია) გარდაიცვალა

პელაგია ისიდორეს ასული გეგელაშვილი

„ქართული აზრის“ რედაქცია ღრმა თანაგრძნობას და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს და მეგობრებს.

„ქართული აზრის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ ა. წ. ივლისის 17-ს ,ნიუ-იორკში, გარდაიცვალა

ბიოლოგი დონაური-ვაჩნაძე

თანაგრძნობას და სამძიმარს უცხადებთ მის ქვრივს, ნათესავებს და მეგობრებს.

G. A. Press

ლებულობს ყოველგვარ შეკვეთებს, როგორც ქართულ, ისე უცხო ენებზე.

114 St. Mark's Place,
Tel.: 473 - 0240
New York 10009, N. Y.

საგაზეთო მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

Mr. G. Djakeli
535 E. 78 Street,
New York, N. Y. 10021

ამავე მისამართიდ უნდა გამოიგზავნოს შეკითხვა-ინფორმაციები.

EDITOR IN CHIEF: M. Sindikeli.
EDITORIAL BOARD: G. Lolua, G. Zaldastani, W. Ssangulia, Dr G. Gabliani.